

ირინე ჩაჩანიძე

ენის არსებობის ფორმათა კონტაქტირება ერთი ენობრივი სიტუაციის პირობებში

ინტერფერენციის წარმოშობის მთავარი პირობა ენათა კონტაქტებია. 50-იანი წლების დასაწყისში ტერმინი „ენათა შერევა“ შეიცვალა „ენათა კონტაქტებით“, რომელიც ენათმეცნიერებაში ა.მარტინემ შემოიტანა. ეს ცნება 1953 წელს განამტკიცა უ.ვაინრაიხმა მონოგრაფიაში „ენათა კონტაქტები“. პარალელურად საბჭოთა ლიტერატურაში ბლინგვიზმთან დაკავშირებით შემოვიდა ისეთი ტერმინები, როგორცაა „ენათა ურთიერთგავლენა“, შემოთავაზებული ლ.შჩერბას მიერ (შჩერბა, 1958, გვ.42), „ენათა ურთიერთქმედება“, შემოთავაზებული ი.დემურიევის მიერ (1958, გვ.142). ვნახოთ რას გულისხმობენ ენათმეცნიერები „ენათა კონტაქტებში“.

უ.ვაინრაიხი მიუთითებს, რომ „ორი ან მეტი ენა იმ შემთხვევაში განიხილება ერთმანეთთან კონტაქტურად, თუ ერთდროულად გამოიყენება ერთი და იმავე პირების მიერ“ (ვაინრაიხი, 1953, გვ.1), ხოლო ა.დობოლდი აღნიშნავს, რომ „ლინგვისტები თვითონ „სასწავლო სიტუაციას“ განიხილავენ, როგორც ენობრივ კონტაქტს“ (დობოლდი, 1961, გვ.98).

ენობრივი კონტაქტის გაგება, როგორც სიტუაციისა, არის ბ.პავრანეკისთანაც. მეცნიერს ტერმინი მიაჩნია საკმაოდ მოსახერხებლად და ფართო მნიშვნელობის მქონედ, ოღონდ იქვე დასძენს, რომ „ლინგვისტურ თვალსაზრისით, ენობრივი სიტუაციის გარდა არაფერს გამოხატავს“ (პავრანეკი, 1972, გვ.94).

სოციოლინგვისტიკის პოზიციიდან სწორედ ენობრივი სიტუაციის მოდელების შუქზე განიხილება ენათა კონტაქტები.

რუსი ენათმეცნიერი ვ.ავრორინი წერდა: „თუ არ გავარკვევთ არსებობის რა ფორმებია მოცემული ამა თუ იმ ენისთვის, და არ განვიხილავთ თითოეული ენის ფუნქციონირებას მათს ურთიერთქმედებაში; თუ არ დავადგენთ ენის გამოყენების სფეროებსა და საშუალებებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სოციალურ პირობებს, რომლებშიც ფუნქციონირებს ენა, ჩვენ ვერ შევძლებთ საკმაოდ სრულად წარმოვიდგინოთ ენობრივი სიტუაცია“ (ავრორინი, 1975, გვ.52).

როგორც ვხედავთ, სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით ენა საზოგადოებაში წარმოდგენილია თავის არსებობის სხვადასხვა ფორმით, და შესაბამისად, ენათა კონტაქტირების პირობებში ძირითადად სწორედ ეს ჰიპოსტაზები ურთიერთქმედებენ.

ამგვარი ურთიერთობების პერიპეტეები განხილულ უნდა იქნეს ენობრივი სიტუაციის კონკრეტული მოდელის შუქზე. სოციოლინგვისტიკურ ლიტერატურაში ენობრივი სიტუაციის მოდელირების რამდენიმე ცდაა მოცემული. თუმცა ჩვენს შემთხვევაში, როდესაც ვიხილავთ ქ.ქუთაისში მცხოვრები რუსულ-ქართულენოვანი მცირერიცხოვანი ჯგუფების მონაცემებს, სანიმუშოდ ავიღეთ ე.თუმანიანის მოდელი (თუმანიანი, 1981, გვ.80). თუმანიანი გვთავაზობს შემდეგ აღნიშვნებს:

A — ავტოქთონური ანუ ადგილობრივი წარმოშობის ენა

B — მეორე ენა

C — მესამე ენა

პატარა ასოებით (შესაბამისად  $a_1, a_2, a_3$  ან  $b_1, b_2, b_3$  და ა.შ.).

აღინიშნება ამ ენათა არსებობის ფორმები

- მაგ.  $a_1$  — სალიტერატურო ენა  
 $a_2$  — ყოველდღიური სასაუბრო ენა  
 $a_3$  — ტერიტორიული დიალექტი  
 $a_4$  — სოციალური დიალექტი

შვიდი-რვა წლის წინანდელი სიტუაცია ქუთაისში მცხოვრები მოსახლეობის რუსულენოვანი ჯგუფებისათვის შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

A (ქართული)	B (რუსული)
v	b <sub>1</sub>
a <sub>2</sub>	b <sub>2</sub>
v	v
v	b <sub>4</sub>

ენათა არსებობის ფორმების ამგვარ გადანაწილებას ხელს უწყობდა პოლიტიკური სტატუს-კვო. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა: აქედან, ამ ჯგუფებისათვის  $b_1$  (რუს. სალიტერატურო ენა)-ის მოხმარების საფუძველს იძლეოდა განათლების სისტემა, „საკავშირო დაქვემდებარებების“ ორგანიზაციები.  $b_2$ -სა და  $b_4$ -ს საფუძველს უქმნიდა ადგილობრივ მკვიდრთა ენობრივი ლოიალობა.

დღეს სხენებული ჯგუფებისათვის, რომლებიც კომპაქტურად არ ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში, ენობრივი სიტუაციის მოდელი იღებს შემდეგ სახეს:

A	B
a <sub>1</sub>	v
(a <sub>2</sub> )	b <sub>2</sub>
(a <sub>3</sub> )	v
(a <sub>4</sub> )	v

როგორც ვხედავთ, სიტუაცია კარდინალურად შეცვლილია (კომპონენტების გადანაწილება აშკარად პოლარულ ხასიათს ატარებს), რადგანაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულ ენას შეექმნა სოციალური საფუძველი ფუნქციონირების სფეროების გასაფართოებლად, ხოლო არამკვიდრი მოსახლეობის ენას კანონზომიერად შეუნარჩუნდა მისი არსებობის ყოველდღიური-სასაუბრო (одноязычно-разговорный) ფორმა; იგი გადაიქცა ამ ჯგუფთა შინაური ურთიერთობის ენად.

რაც შეეხება საქართველოს სხვა რეგიონებს, რომლებშიც დასახლებულია არაქართულენოვანი მოსახლეობა, ენობრივი სიტუაციის მსგავსი სურათის მიღება შესაძლებელი გახდება მხოლოდ განათლებისა და საქმისწარმოების სფეროებში საქართველოს სახელმწიფო ენის უფლებების აღდგენის შემდეგ.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ავრორინი, 1975 — Аврорин В. А. Проблемы изучения функциональной стороны языка. Л.
2. დეშერიევი, 1958 — Дешериев Ю. Д. Развитие младописьменных языков народов СССР. М.
3. დიბოლდი, 1961 — Diebold A. Incipient bilingualism. — Language, v.37, №1.

4. ვაიხრაიხი, 1953 — Weinreich U. Languages in contact. The Hague.
5. თუმანიანი, 1982 — Туманян Э. Г. Типология языковых ситуаций (комплексные модели оппозиций форм существования языка). – Теоретические проблемы социальной лингвистики. М.
6. შერბა, 1958 — Щерба А. В. О понятии смешении языков. – Избр. работы по языкознанию и фонетике, т. 1, Л.

Irine Chachanidze

### **Contact of Existant Forms of Language in One Linguatic Situation**

#### **Summary**

From the sociolinguistic point of view language contacts have been discussed in the light of modelling of linguistic situations.

The sociolinguistic specialist literature presents several attempts of modelling of linguistic situations. Though in our case, when discussing the data of the small Russian-Georgian-speaking group living in Kutaisi, E. Tumanian's model has been taken as a basis.

After Georgia became independent, the Georgian language was granted a social basis to broaden the spheres of functioning, and the languages of non-native population retained their colloquial form. Such Languages became in-group vernaculars.